

## სს „ლიბერთი ბანკის“

### განცხადება

გაცნობებთ, რომ „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ კანონისა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს წარმოეშვათ ვალდებულება საჯარო ფასიანი ქაღალდები აღრიცხონ ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში 2024 წლის 01 ივნისამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები წარმოადგენს საჯარო ფასიან ქაღალდებს, „ბანკი“ უზრუნველყოფს საჯარო ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორიდან - სს „კავკასრეესტრიდან“ (ს/ნ 211369115) ცენტრალურ დეპოზიტართან გადატანას მითითებულ ვადამდე.

პირი ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში ფასიან ქაღალდებს შესაძლოა ფლობდეს მხოლოდ ანგარიშის მწარმოებლის მეშვეობით. შესაბამისად, იმისათვის, რომ „ბანკის“ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან რეგისტრირებულმა აქციონერებმა ისარგებლონ „ბანკის“ აქციების ფლობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებით (ხმის უფლება, დივიდენდის მიღების უფლება და სხვ.), მათ უნდა უნდა მიმართონ ანგარიშის მწარმოებელს (აქციონერის სურვილის შესაბამისად შერჩეულ ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში) და უზრუნველყონ თავიანთი ფასიანი ქაღალდების გადატანა ანგარიშის მწარმოებელთან.

**შენიშვნა:** ბანკის დამოუკიდებელ რეგისტრატორთან რეგისტრირებული აქციონერები 2024 წლის 01 ივნისის შემდგომ აქციონერთა კრებაზე ხმის უფლებით ისარგებლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სს „კავკასრეესტრში“ რეგისტრირებულები იყვნენ საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისთვის.

სს „ლიბერთი ბანკი“  
ფინანსური დირექტორი  
ვახტანგ ბაბუნაშვილი